თელავის მუნიციპალიტეტის მერის

გრძანება № 241

„28“ თებერვალი 2018 წ. ქ. თელავი

ნელი აბეჩხრიშვილის გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1^2 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლის, განსახორციელებელი საქმიანობის დაგეგმვის და ღონისძიებების კოორდინაციის მიზნით გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების, საქმისწარმოების, საზოგადოებასთან ურთიერთობის და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ნელი აბეჩხრიშვილი.
2. გრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
3. გრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

მერი შოთა ნარეკლიშვილი